თამარ ღუღუნიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ომი პიროვნული და კულტურული ტრავმის კონტექსტში
(თანამედროვე ქართველი და ირანელი მწერლების მოთხრობების მიხედვით)

ომი, როგორც სახელმწიფოებს შორის არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის უკიდურესი გზა, თავისი თანმდევი პროცესებით, თითქმის ყველა ეპოქაში წარმოადგენდა მეცნიერთა ინტერესის საგანს და მწერალთა შთაგონების წყაროს. თანამედროვე სინამდვილე მსოფლიოში დიდ მასალას იძლევა ამ მიმართულებით. შესაბამისად, მეცნიერები და მწერლები აქტიურად აშუქებენ აღნიშნულ პრობლემას სხვადასხვა კუთხით.

ომი, რომელიც ამსხვრევს ინდივიდებისა და საზოგადოების კეთილდღეობის განცდას, თავისთავად ხდება პიროვნული თუ კულტურული ტრავმის მიზეზი (Alexander, 2004, pp. 2:3). საინტერესოა, როგორ მოხდა ომთან დაკავშირებული მოვლენების, განცდების მემორიზაცია ლიტერატურაში, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან „მეხსიერების ადგილში“ (Nora, 1989, p. 23), და როგორ ხასიათდება პიროვნული თუ კულტურული ტრავმა მცირერიცხოვან და მრავალრიცხოვან ერებში, საქართველოსა და ირანის მაგალითზე.

ტრავმის არსი და მისი გააზრება ინდივიდუალურ და კულტურულ დონეზე

საყოველთაოდ ცნობილი თეორიის მიხედვით, ტრავმა წარმოადგენს იმ ბუნებრივი მოვლენების შედეგს, რომლებიც სპობს ინდივიდებისა და კოლექტივის კეთილდღეობის შეგრძნებას და რომლებსაც დამანგრეველი ძალა აქვს (Alexander, 2004, pp. 2:3). ტრავმის გააზრება ინდივიდისა თუ საზოგადოებრივი ჯგუფის მიერ სხვადასხვაგვარად ხდება. ტრავმის გონივრული, რაციონალური გააზრების შემთხვევაში, დამანგრეველი მოვლენაც კი ხშირად სიახლეებისა და ცვლილებებისათვის ახალ შესაძლებლობად იქცევა ხოლმე. თუმცა, შესაძლოა, ტრავმამ ადამიანი ისე დათრგუნოს, რომ ვერ მოახერხოს მისი გააზრება, პასუხისმგებლობის აღება მომხდარზე და ტრავმული მოვლენის გადალახვა. კოლექტივის წევრებს ყოველთვის არ შეუძლიათ სხვების ტანჯვის საკუთარ ტანჯვად აღქმა და ზღუდავენ სოლიდარულ თანაგანცდას. ამ შემთხვევაში ინდივიდი

საკუთარ ნაჭუჭში იკეტება და არ იქმნება ტრავმული ნარატივიც (Alexander, 2004, pp. 12:13).

ჯ. ალექსანდერის თეორიის მიხედვით, კულტურული (კოლექტიური) ტრავმა[1] თავს იჩენს იმ დროს, როდესაც რაღაც საშინელი მოვლენა სამუდამო კვალს ტოვებს კოლექტივის წევრების ჯგუფურ ცნობიერებაზე, სამუდამო დაღს ასვამს მეხსიერებას და ფუნდამენტურად ცვლის მათ მომავალ იდენტობას. ტრავმის გააზრება ხდება მაშინ, როდესაც ერთობის წევრები სწავლობენ და ადგენენ ტრავმის გამომწვევ მიზეზებს, რაც მათ საშუალებას აძლევს, გაიზიარონ სხვების ტანჯვა (Alexander, 2004, pp. 1:2).

კოლექტიური ტრავმის მახასიათებლების 4 ძირითად კრიტერიუმად კლასიფიცირება მოახდინა პ. შტომპკამ (Sztompka, 2004, pp. 158:159):

1. ტრავმული მოვლენა ხდება სწრაფად და მოულოდნელად;

2. ტრავმული განცდა ეუფლება ყველა ადამიანს, მთლიანად საზოგადოებას, ის ყველასთვის გასაგებია და ტოვებს წარუშლელ კვალს;

3. ტრავმულ მოვლენას თან სდევს ფუნდამენტური ცვლილებები და ის ხდება ღირებულებათა აღრევის მიზეზი;

4. ტრავმული მოვლენა იწვევს შოკს, ის უცაბედი და დაუჯერებელია;

ტრავმის შესახებ არსებული მეცნიერული კვლევებისა და თეორიების შეჯერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ტრავმული მოვლენა გავლენას ახდენს როგორც ინდივიდზე, ისე საზოგადოებაზე და იგი ცნობიერებაში ილექება „პოსტტრავმული სტრესის“ სახით.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი ქართველი მწერლების ნოველების რაკურსში

წინამდებარე კვლევის ერთი ნაწილი ძირითადად ეთმობა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, კერძოდ კი, განხილულია თამარ ფხაკაძის მოთხრობა – „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ და ანა კორძაია-სამადაშვილის ნოველაზე – „მე მომკლეს, დე...“.

მოთხრობაში „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ მოთხრობილია ორი ძმის – რობიზონისა და ზალიკოს ამბავი, რომლებიც სტუდენტობიდან ქალაქში ქირით ცხოვრობენ. ძმებს თავიანთი სახლ-კარი კონფლიქტის ზონაში მდებარე ერთ-ერთ სოფელში აქვთ. მოთხრობის მთავარ გმირს რობიზონს სოფელში დაბრუნება და იქ ცხოვრება აქვს გადაწყვეტილი. მისი ტრაგედია იწყება მაშინ, როდესაც აღმოაჩენს, რომ მამაპაპისეული

[1] ჯეფრი ალექსანდერი კოლექტიურ ტრავმას კულტურულ ტრავმად მიიჩნევს, ხოლო ზიგმუნდ ფროიდი კოლექტიურ ტრავმას „ომის ტრავმას“ უწოდებს.

სახლი ძმას, საზღვარგარეთ გამგზავრების მიზნით, მეზობლისთვის მიუყიდია. რობიზონისთვის რთულია გაიაზროს მწარე რეალობა, რომ სტუმრად იქცა თავისსავე სამასპინძლოში. „ვარ უფესვებო ხესავით, როდის დამიბერავს ნიავი და როდის წავიქცევი, არ ვიცი“, – წერს რობიზონი ძმას (ფხაკაძე, 2011, გვ. 269).

მოთხრობის მთავარი გმირის ტრაგედიას კიდევ უფრო ამძაფრებს სოფელში ვითარების დაძაბვა. იგი ყველაზე უბედურად მაშინ იგრძნობს თავს, როდესაც გაიაზრებს, რომ საომარი მოქმედებების მოლოდინში მას დასაცავი აღარაფერი აქვს. რობიზონი გამოსავალს ბოსტნის გაკეთებაში პოულობს, რომელსაც შვილივით უვლის. ამასობაში სოფელში საბრძოლო მოქმედებებიც იწყება. რობიზონს კიდევ უფრო უმძაფრდება ბოსტნის დაცვის ჟინი, რომელიც მისთვის სამშობლოს ერთგვარი განსახიერებაა. სამუშაო თუ საბრძოლო იარაღით აღჭურვილი რობიზონი დღედაღამ თავზე დასტრიალებს მიწის პატარა ნაკვეთს და მზადაა, მისთვის თავი გაწიროს, ეს მიაჩნია თავის მთავარ მისიად და სიცოცხლის საზრისად. მთავარი გმირის სულისკვეთება კარგად ჩანს როგორც მის ქმედებაში, ასევე სიტყვებში: ”რა ხარ ეგეთი საცილო, ეგეთი სულ მუდამ დასაცავი, ეგეთი საშაროდ ტკბილი და მადლიანი!... რა ხარ ეგეთი სულ ზედ შესაკვდომი, შე დალოცვილო!” (ფხაკაძე, 2011, გვ. 287). რობიზონის საქციელი აღფრთოვანებას იწვევს თანასოფლელებსა და მთელ საზოგადოებაში.

სამშობლოსა და თანამემამულეების დაცვის სურვილმა და მტერთან ბრძოლის ჟინმა რობიზონს საკუთარი ხელით ააფეთქებინა ის სახლი, რომელიც ცოტა ხნის წინ მისი მთავარი სატკივარი იყო, რადგან მტერმა იარაღის საწყობად და საკუთარ შტაბად აქცია იგი. საბოლოოდ, რობიზონი თავადაც ეწირება ამ ამბავს. სასიკვდილოდ დაჭრილი კი იმაზე ფიქრობს, რომ თანასოფლელები ჰყავს დასამარხი და მხოლოდ ამიტომ არ უნდა სიკვდილი.

რობიზონის ქმედებაში და, ზოგადად, ნაწარმოების სიუჟეტში კარგად ჩანს, თუ როგორ ხდება იმ უბედურების საყოველთაო გააზრება, რასაც ომი ჰქვია. მოთხრობის პერსონაჟები თითქმის თანაბრად ინაწილებენ პასუხისმგებლობას და ერთიანდებიან მტრის წინააღმდეგ, ამავდროულად, ერთმანეთისა და სამშობლოს დასაცავად. ამ დამოკიდებულებაში ნათლად იკვეთება კულტურული ტრავმის მახასიათებლები. უეცრად და მოულოდნელად თავსდატეხილმა ომმა საზოგადოების წევრები შოკში ჩააგდო, თუმცა ისინი მზად აღმოჩნდნენ ერთმანეთის ტანჯვის/ბედის გასაზიარებლად და მთავარი ღირებულების – სამშობლოს დასაცავად.

ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობა „მე მომკლეს, დე...“ ასევე ეძღვნება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს, სადაც ძირითადად ასახულია პოსტტრავმული სტრესის მდგომარეობა. მასში მოქმედება ხდება თბილისში 2008 წლის აგვისტოში. თხრობისას ბუნდოვანია ზღვარი სიზმარსა და რეალურ ცხოვრებას შორის. 2008 წლის ომიდან 3 წლის შემდეგაც ავტორი უდიდესი ტრაგიზმით აღწერს ამ საშინელი მოვლენით ტრავ-

მირებული საზოგადოების განცდებს. კარგად ჩანს, თუ როგორ მოულოდნელად დაატყდა ქვეყანას თავს უბედურება, რამაც საზოგადოების შოკური მდგომარეობა გამოიწვია. ომმა ნაწარმობის პერსონაჟთა ყოველდღიურობა სწრაფად და რადიკალურად შეცვალა. ისინი ფიქრობენ, რომ მალე შეიძლება აღარ იყვნენ, მტრის ტყვია შესაძლოა მათაც მისწვდეთ, ყველას დაუცველობის განცდა ეუფლება. მოთხრობაში იკვეთება პოსტტრავმული მდგომარეობის ნიშანი: ხდება მტრის იდენტიფიცირება, რომელიც იწვევს შიშს. ამის მიზეზი უკვე გადატანილი ტრავმაა აფხაზეთის ომის დროს. საზოგადოებას ახსოვს მტრის ტაქტიკა და სტრატეგია და შეუძლია ივარაუდოს, რომ მოძალადე იმასვე გააკეთებს ახლაც, რაც გააკეთა აფხაზეთში. აღნიშნული მეტყველებს, რომ საზოგადოებაში ათეული წლის წინანდელი ტრავმაც კი მოუშუშებელია და იგი ნებისმირი ესკალაციის შემთხვევაში თავიდან ღვივდება. ომის დასრულების შემდეგ გაცილებით ტრაგიკული შედეგები დგება. იკვეთება ტრავმის უგულებელყოფის ნიშნები, რაც ომსა და ადამიანურ ტკივილს/ტრაგედიას მთელი სიმძაფრით წარმოაჩენს.

ანა კორძაია-სამადაშვილის ნაწარმოების ფსიქოლოგიური რაკურსიდან გამომდინარე, აქცენტი გაკეთებულია ტრაგედიის ინდივიდუალურ აღქმასა და კონკრეტული ადამიანის განცდაზე. თუმცა ის ფაქტი, რომ საზოგადოება ყველა შემთხვევაში ახდენს მტრის და საკუთარი თავის მსხვერპლად იდენტიფიცირებას, შეესაბამება კულტურული ტრავმის კრიტერიუმებს.

1980-1988 ირან-ერაყის ომი ირანელი მწერლების მოთხრობების რაკურსში

ირანსა და ერაყს შორის ომი 1980 წელს დაიწყო და რვა წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ომის ძირითადი მიზეზი სასაზღვრო დავა იყო, თუმცა მას რიგი პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზეზებიც გააჩნდა. რვაწლიანმა ომმა სახელმწიფოთა გამყოფი საზღვარი ვერ შეცვალა, ამის სანაცვლოდ, უამრავი სიცოცხლე შეიწირა და ორივე ქვეყნისთვის მძიმე ეკონომიკური შედეგებით დასრულდა.

ირანისათვის ერთბაშად თავსდატეხილი ისლამური რევოლუცია (1979 წ.) და ომი ირანული საზოგადოებისთვის ძალიან მძიმე და რთულად აღსაქმელი აღმოჩნდა. „პოსტრევოლუციური (ასევე, ომის შემდგომი) პირველი ეტაპი ზედმეტად იყო იდეოლოგიზებული და პოლიტიზებული და ეს ფაქტი საკმაოდ უარყოფით ზეგავლენას ახდენდა ლიტერატურის ხარისხზე. იგი იდეოლოგიური იარაღი უფრო იყო და ნაკლებად ჰქონდა კავშირი ხელოვნებასთან“ (ბურჯანაძე, 2016, გვ. 224).

თუმცა ირანის ისლამური რეჟიმისა და მკაცრი ცენზურის პირობებშიც, წლების შემდეგ ლიტერატურამ მაინც მოახერხა ვითარების მეტ-ნაკლებად რეალურად აღწერა. თუკი იდეოლოგიური ნაწარმოებები ცდილობდნენ საგმირო-რელიგიური სულისკვეთე-

ბის გაღვივებას და ომის რომანტიკის პროპაგანდირებას, ამავე თემაზე შექმნილმა ხარისხიანმა ლიტერატურამ აქცენტი გააკეთა მებრძოლებისა და ფრონტის ხაზს მიღმა დარჩენილ ადამიანებზე, რომელთაც ომმა ფიზიკური და სულიერი განადგურება მოუტანა და რომელთა ცხოვრებაც რადიკალურად შეცვალა.

წინამდებარე ნაშრომში ყურადღება ეთმობა ირანელი მწერლების – ბიჟან ნაჯდისა და ჯამშიდ ხანიანის თხზულებების განხილვას. ორივე მწერალი თავად მონაწილეობდა ამ ომში, რაც კიდევ უფრო სანდოს ხდის მათ ნაწარმოებებში აღწერილ მოვლენებს და ადამიანური განცდების სიმძაფრეს.

ბიჟან ნაჯდი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და თვითმყოფადი ფიგურაა პოსტრევოლუციურ და ომისშემდგომ სპარსულ ლიტერატურულ სივრცეში (ბურჯანაძე, 2016, გვ. 235). გილანის პროვინციაში დაბადებული მწერალი ირან-ერაყის ომში მოხალისედ წავიდა, თუმცა ომი, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ფიზიკურად, ძნელად ასატანი აღმოჩნდა ისედაც ჯანმრთელობაშერყეული კაცისთვის. მწერალი, რომლის სამწერლობო სტილს ლირიკული პროზა წარმოადგენს, საკუთარ ნოველებში ძირითადად ომსა და მის უმძიმეს ფსიქოლოგიურ შედეგებზე საუბრობს.

მოთხრობაში „სიბნელე ჩექმაში“ ომი დინამიკაში არ ჩანს. მოქმედებები ერთ სოფელში მიმდინარეობს, უკვე ომის შემდეგ, და ამ სოფლის ყოველდღიურობას ასახავს. ნაწარმოებში, რომლის მთავარი გმირი „თაჰერის მამაა“, პირდაპირ არ იკითხება, რომ თაჰერი ომს ემსხვერპლა. ავტორი აღწერს, თუ როგორ მოჰკრა მამამ თვალი ფუთას და მის შიგთავსს – „დანახრშირებულ ნაფლეთებს, დაშრეტილ თვალებს, კბილებადქცეულ თავს, რომელზეც უთხრეს, რომ ეს თაჰერია“ (ნაჯდი, 2008, გვ. 211). სიკვდილის სიმბოლოა ჯარისკაცის ჩექმაც, რომელიც მდინარეში მობანავე ბავშვებს ფსკერიდან ამოაქვთ. თაჰერის მამის გაუცნობიერებელი სწრაფვა სიკვდილია – ოცნება, რომ მდინარეს გაჰყვეს. თზულება ძირითადად ორიენტირებულია იმ ადამიანის უმძიმესი განცდების აღწერაზე, რომელიც საკუთარ ნაჭუჭშია ჩაკეტილი და, ამდენად, ნაკლებად მახვილდება ყურადღება მტრის იდენტიფიცირებაზე. მწერალი ამ მიზანს არც ისახავს. ეს ნაწარმოები ატარებს მრავალი შვილმოკლული მამის ტკივილს, რომელთა ერთადერთი ნატვრაც სიკვდილია.

ომის თემას ეხება ასევე ბ.ნაჯდის ნოველა „უსაათო დრო“. ნაწარმოებში ფრაგმენტულადაა გადმოცემული მთავარი გმირის მაჯიდის ცხოვრების ეპიზოდები. მისი სიცოცხლე ბრძოლის ველზე სრულდება. ხელს შეავლებს სიპ ქვას, რომელიც გოგრას გაახსენებს, გაახსენებს ბავშვობას – იმ დღეს, როცა ბებიამ უთხრა, ბავშვები გოგრის ძირას ჩნდებიანო, და მომაკვდავი მაჯიდი ამბობს: „ადამიანი რომ გოგრის ძირას არ ჩნდება, ბებია?“ (ნაჯდი, 2009, გვ. 40). ამ ფრაზით მწერალი მთავარ სათქმელს ამბობს: ადამი-

ანი გოგრის ძირას არ ჩნდება, მისი სიცოცხლე უფლისგანაა ბოძებული და არავის აქვს მისი ხელყოფის უფლება.

არანაკლები სიმძაფრითაა წარმოჩენილი ადამიანური ტრაგიზმი ჯამშიდ ხანიანის ნოველაში – „ყოველთვის, ერთსა და იმავე დროს, ერთი და იგივე თამაში“. ჯ. ხანიანი, ძირითადად, საბავშვო მწერლად მიიჩნევა, თუმცა ომის თემატიკას ვერც მან აუარა გვერდი. აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზს შესაძლოა ისიც წარმოადგენდა, რომ მწერალი სწორედ იმ პროვინციაში (ხუზისტანი) დაიბადა და გაიზარდა, რომელიც ფრონტის წინა ხაზად იყო ქცეული.

მოთხრობაში – „ყოველთვის, ერთსა და იმავე დროს, ერთი და იგივე თამაში“ მოქმედება ვითარდება ერთ რიგით ოჯახში, სადაც თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. სამსახურიდან დაბრუნებული მამა ბავშვს ეთამაშება, რომელიც სადღაც დამალულა, მამა კი ვერ პოულობს. ნოველაში „ჩამალულ“ სათქმელს მკითხველი თანდათან პოულობს, როდესაც მოვლენები აბსურდამდე მიდის: მამა ბავშვს ეძებს საწოლის ქვეშ, ფარდის უკან, მაცივარში და ცხელ გაზქურაში. ჩანაფიქრს, დამალობანას კვალდაკვალ, შვილის ფოტოსურათების ცვლილება ხსნის: პირველ ფოტოზე მომღიმარე პატარა ბიჭუნა შემდეგ სურათებში ტუჩებშეღინღლულ ყმაწვილად იქცევა, ბოლო სურათში მამას იარაღასხმული ჯარისკაცი შემოჰყურებს. ომისგან გაუბედურებული მშობლების ყოველდღიური „თამაში“ მწერლის მძიმე სათქმელს გამოხატავს: ომი ბრძოლის ველზე არ მთავრდება და არც მხოლოდ მათი ტრაგედიაა, ვინც ამ ველზე იღუპება.

ომის თემაზე შექმნილი თანამედროვე სპარსული ნოველების განხილვამ აჩვენა, რომ სამყაროში ყველა ღირებულებაზე წინ ადამიანი დგას. ნებისმიერი მაღალზნეობრივი მიზანიც კი ფუჭია, თუ მას არ მოაქვს ადამიანისთვის კეთილდღეობა და ბედნიერება. სწორედ ეს იდეა უდევს საფუძვლად ზემოთ განხილულ ნოველებს. მიუხედავად იმისა, რომ ირან-ერაყის ომის დროს ირანი თავის ტერიტორიას იცავდა, ირანელი მწერლების ამ ნაწარმოებებში ნაკლებად კეთდება აქცენტი სამშობლოს დაცვის იდეის ირგვლივ გაერთიანებაზე და, ძირითადად, საუბარია ომის დამანგრეველი შედეგებით გამოწვეულ ადამიანურ ტრაგედიაზე.

დასკვნა

ქართველი და ირანელი მწერლების ნაწარმოებების საფუძველზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ომი საქართველოშიც და ირანშიც თითქმის იდენტური სცენარით ვითარდება, ორივე შემთხვევაში იგი მოულოდნელად და უცაბედად ატყდება თავს საზოგადოებას და შოკურ მდგომარეობაში აგდებს მას. ამასთან, ორივე შემთხვევაში საზოგადოებაზე ღრმა კვალს ტოვებს პოსტტრავმული სტრესი, რაც მუდმივი შიშის განცდაში ამყოფებს ადამიანებს.

ნაშრომში ემპირიულ მასალად გამოყენებულ ქართველ მწერალთა მოთხრობებში უფრო მეტად ჩანს თანაგანცდის, პასუხისმგებლობის გადანაწილების, სხვისი ტანჯვის გათავისების ნიშნები. ირანელ მწერალთა ნაწარმოებებში კი ომისგან დაზარალებული ადამიანები საკუთარ ნაჭუჭში იკეტებიან, არ ცდილობენ ვითარების რაციონალურად გააზრებას და მათი ცხოვრება აზრდაკარგულად წარმოჩინდება. შესაბამისად, ქართველ მწერალთა ნაწარმოებების პერსონაჟთა ნარატივები მეტწილად აკმაყოფილებს კულტურული ტრავმის კრიტერიუმებს. ირანელი მწერლების ნაწარმოებების პერსონაჟებში კი გაცილებით გამძაფრებულია პიროვნული ტრაგედიის განცდა.

ქართველ მწერლებთან (განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს თ. ფხაკაძესთან) ნაწარმოების გმირი ეწირება იდეას. მისთვის სიცოცხლეზე აღმატებული სამშობლოსა და თავისუფლების დაცვაა. ირანელ მწერლებთან კი სწორედ ადამიანის სიცოცხლეა ზეაღმატებული და არავის აქვს მისი ხელყოფის უფლება.

კვლევიდან იკვეთება, რომ მცირერიცხოვან ერში გაცილებით სწრაფად ხდება საფრთხის კოლექტიურ დონეზე გააზრება და გაცილებით მძაფრია საფრთხის მოგერიების იდეის გარშემო გაერთიანების სურვილი, ვიდრე მრავალრიცხოვან ერებში. მცირერიცხოვანი ერები მეტად განიცდიან იდენტობის დაკარგვის/შეცვლის შიშს, ამიტომ ორიენტირებულები არიან დაიცვან ის, რაც მათ იდენტობას გადაარჩენს.

Tamar Ghughunishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

War within te Context of a Perspnal and Cultural Trauma (based of works of Georgian and Iranian authors)

Summary

The given work is focused on analyzing latest wars in Georgia and Iran through the prism of literature and seeks their representation within the context of a personal and cultural trauma. This article puts emphasis on how 2008 Russia-Georgia and 1980-1988 Iran-Iraq wars have been reflected in literary works. It also offers comparative analysis and reviews research outcomes.

Although there are numerous scholarly research dedicated to the aforementioned wars, certain issues still remain without a due scientific spotlight. In addition, current scholarship lacks comparative analysis of Georgia and Iran – two countries with completely different culture and mentality – which is also indicative of the research topic's relevance.

Jeffrey C. Alexander's and Piotr Sztompka's works on trauma and its characteristics serve as a principal theoretical framework of this article. An individual or groups of humans have different perceptions of trauma and rational reflection of trauma gives chance to transform even a devastating event into a new opportunity for positive changes. Simultaneously, trauma can overwhelm an individual to such extent to render him/her incapable to cope with this dreadful event.

Literature plays a huge role in analyzing and properly reflecting upon the important events of different periods. This is because literature perfectly highlights humans' and society's attitude/outlook towards any given event. Tamar Phkhakadze's, Ana Kordzaia-Samadashvili's, Bizhan Najd's and Jamshid Khanian's works, with their plots revolving around war and its devastating outcome, have been selected for research purposes.

The research process required in-depth study of academic literature about the war as a phenomenon as well as its causes and outcomes. Given the fact that the article is about analyzing the process associated with war – personal and cultural trauma - particular attention was given to the inquiry of research scholarship about that experience, whereas the novels of the aforementioned Georgian and Iranian writers, with reference to wars of the last decades, were used as research material. In addition, methods of psychosocial observation as well as theoretical and comparative analysis have also been applied for the research purposes.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბურჯანაძე, მ., (2016). *ახალი და უახლესი სპარსული ლიტერატურის ისტორია*, რედ. შურღაია თ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კორძაია-სამადაშვილი ა., (2011). მე მომკლეს, დე..., ბლოგის ჩანაწერი (http://samadova.wordpress.com/2011/08/02/).

ნაჯდი, ბ., (2008). სიბნელე ჩექმაში, *თოთხმეტი სევდიანი ამბავი (თანამედროვე სპარსული პროზა)* (გვ. 211-215). გამომცემლობა „უნივერსალი".

ფხაკაძე, თ., (2011). ბოსტანი კონფლიქტის ზონაში, *კრებული „სამნი მზის ქვეშ" (რჩეული მოთხრობები)* (გვ. 260-291). გამომცემლობა „პალიტრა L".

Alexander, J. C., (2004). Toward a Theory of Cultural Trauma, *Cultural Trauma and collective Identity* (pp 1-30). University of California Press Ltd. London.

Nora, P., (1989). Between Memory and History, Representations, No. 26, Special Issue: *Memory and Counter-Memory, Les Lieux de Mémoire* (pp 7-24). University of California press.

Sztompka, P., (2004). Trauma of social change: a case of post-communist societies, *Cultural Trauma and collective Identity* (pp. 155-195). University of California Press Ltd. London.